

**შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორის**

ბრძანება № 01-01/02

თბილისი

“ 21 “ იანვარი 2021 წ.

**გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვაკანტური ადგილების, ვადების,
წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:**

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანების „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ მე-5 და მე-9 მუხლების, გთუნი-ის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-10 მუხლის, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის და სამართლის ფაკულტეტის დეკანების წარდგინებების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განისაზღვროს 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვაკანტური ადგილები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამებზე:

ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 5 ადგილი;
- ტურიზმი - 5 ადგილი.
- ფსიქოლოგია - 5 ადგილი;
- ჟურნალისტიკა - 5 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 5 ადგილი;
- საბანკო საქმე - 5 ადგილი;
- მასობრივი კომუნიკაცია - 5 ადგილი.

სამართლის ფაკულტეტი

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სამართალი - 5 ადგილი.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- სისხლის სამართალი - 2 ადგილი;

- კერძო სამართალი - 2 ადგილი.

2. განისაზღვროს 2020-2021 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის შიდა მობილობის ვადები ბაკალავრიატის/მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისათვის:

- დოკუმენტების მიღება ფაკულტეტებზე - 2021 წლის 12 თებერვლიდან - 19 თებერვლის ჩათვლით;

- შიდა მობილობის მსურველ სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა - 2021

წლის 12 თებერვლიდან - 19 თებერვლის ჩათვლით;

- ჩასარიცხ პირთა შესახებ რექტორის ბრძანების გამოცემა - 2021 წლის 23 თებერვლის ჩათვლით.

3. განისაზღვროს წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება (რექტორის სახელზე);

- ამონაწერი სტუდენტის სასწავლო ბარათიდან (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით);

- ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

- პირადობის მოწმობის ასლი;

4. შიდა მობილობის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს სასწავლო პროცესის მართვისა და მეცნიერების სამსახურთან შეთანხმებით;

- დოკუმენტების მიღება დაევალოს შესაბამის ფაკულტეტებს;

- ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას;
- დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

- ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

გიორგი მათიაშვილი